საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-892

02/11/2018

ქ. თბილისი

„შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტში შპს „გაზპროექტის“ შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 1 ნოემბრის № 2-886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს „გაზპროექტი 2009“-ის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იყო შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტში, შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ მიმდინარე წლის 1 ნოემბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის №2-886 ბრძანება „შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტში შპს „გაზპროექტის“ შუახევი -ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ”.

აღნიშნული ბრძანებით მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ „შპს „გაზპროექტის“ შუახევი - ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას”, თუმცა ბრძანების პირველ აბზაცში და ბრძანების პირველი; მეორე; მესამე და მეოთხე პუნქტებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, შპს „გაზპროექტის“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს შპს „გაზპროექტი 2009“, რაც საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტში შპს „გაზპროექტის“ შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 1 ნოემბრის №2-886 ბრძანების

- სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტში შპს „გაზპროექტი 2009“-ის შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ;
- პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : შპს „გაზპროექტი 2009“-ის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება;
- პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „გაზპროექტი 2009“-ის შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) P=6კგ/სმ2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
- მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: შპს „გაზპროექტი 2009“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
- მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გაზპროექტი 2009“-ს;
- მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გაზპროექტი 2009“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ გაზპროექტი 2009“-ს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ გაზპროექტი 2009“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი